**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**ბიუროს მორიგი სხდომის**

**ო ქ მ ი N 35**

**ქ. წალკა; 18.11.2025 წ.**

***სხდომას თავმჯდომარეობდა:*** წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
***ირაკლი გიგინეიშვილი***

***სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:***

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-რადიკ სარკისიან,წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-ჯაბა აბულაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე უშანგი ბოლქვაძე, ფრაქცია „ხალხის-ძალის“ თავმჯდომარე ბადრი ხოზრევანიძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

**სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;**
**სხდომა დასრულდა: 11:25 საათზე;**

***დღის წესრიგი:***

1. დადგენილების პროექტი “წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“;

*სხდომამ განიხილა:*

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს და არაუგვიანეს მ/წლის 24 ნოემბრისა საკრებულოს აპარატში წარმოადგინონ წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები დადგენილების პროექტთან დაკავშირებით. ხოლო საკრებულოს აპარტს დაევალოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე საჯარო განხილვისთვის გამოაქვეყნოს დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და ცნობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დადგენილების განმხილველი საკრებულოს კომისიები და ფრაქციები, პროექტის განხილვის ვადები, ადგილსამყოფელი და სხდომების გრაფიკი;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად განკარგულების პროექტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს და არაუგვიანეს მ/წლის 24 ნოემბრისა საკრებულოს აპარატში წარმოადგინონ წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები განკარგულების პროექტთან დაკავშირებით. ხოლო საკრებულოს აპარტს დაევალოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე საჯარო განხილვისთვის გამოაქვეყნოს განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ და ცნობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განკარგულების განმხილველი საკრებულოს კომისიები და ფრაქციები, პროექტის განხილვის ვადები, ადგილსამყოფელი და სხდომების გრაფიკი;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

*საკრებულოს თავმჯდომარე* *ი.გიგინეიშვილი*